ქართული ოცნება
GEORGIAN DREAM
ქართული ოცნება
ერთად საქართველოს წარმატებისთვის!
41
ფასიანი პოლიტიკური რეკლამა

ალიონი

უძველესი გაზეთი უახლესი ინფორმაციებით!

გაზეთი გამოდის 1931 წლის 5 იანვრიდან

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი.
ყოველკვირეული გამოშვება. № 29 (10363) 12 ოქტომბერი 2020 წ. ფასი 60 თეთრი.

ოზურგეთელმა „მამლუქებმა“ ექადიაზე 9 ძირი კედარი მოჭრეს

ალიონი. ოზურგეთელმა „მამლუქებმა“, ქალაქ ოზურგეთში, უნივერსისტეტის ქუჩის დასაწისში 9 ძირი წიწვოვანი ხე მოჭრეს, რომელიც ქარსაფარის მოვალეობას ასრულებდა. ადგილობრივი მოსახლეობა ამ ფაქტს აპროტესტებს და მომხდარის გამოძიებას მოითხოვს.

– დავუშვათ ეს ტერიტორია შეისყიდეს და კერძო საკუთრება გახდა. როგორ მისცეს უფლება მათ 9 ძირი საღი კედარი მოეჭრათ. – გვითხრეს ამ ქუჩის მცხვრებლებმა **მერაბ ჩიჩუამ** და **ავთო ჯინჭარაძემ.**

–ეს ხეები უნივერსიტეტის ქუჩის მშვენება იყო. ვინ გასცა მოჭრის ნებართვა? ასე საღი კედარი კი არა, ეზოში კრიტომერიის ხეები მიდგას და არ მომცეს მოჭრის ნებართვა. არადა, თუ არ მოიჭრა, სახლს შესაძლოა დაეცეს და დაზიანოს. თუ ჩემთვის არ შეიძლება, ამათ როგორ მიიღეს ნებართვა –გვითხრა ასევე ამ ქუჩის მცხოვრებმა **ციცო ცენტერაძემ**.

ჩვენ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელს ქ. ოზურგეთში ავთანდილ სვანიძეს დავუკავშირდით და კომენტარი ვთხოვეთ ამ თემაზე:

–კერძო საკუთრებაა. ეს ტერიტორია წელს შპს „მამლუქმა“ შეიძინა. მას უფლება ჰქონდა მის ეზოში ხე მოეჭრა. ხეები სრული წესების დაცვით, შესაბამისი ნებართვის საფუძველზე მოჭრეს. ადგილზე იყვნენ გარემოს დაცვის, სატყეოს და მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის წარმომადგენლები –გვითხრა **ავთანდილ სვანიძემ.**

შპს „მამლუქი“ 2010 წლის 25 თებერვალს შეიქმნა. ამ კომპანიის 100 პროცენტიანი წილის პატრონი და დირექტორი **გოჩა ღონღლაძეა.**

ირმა გორდელაძე, სათემო ორგანიზაცია „ეკოს“ თავმჯდომარე: – *ქ. ოზურგეთში, უნივერსიტეტის ქუჩის დასაწყისში მოიჭრა ცხრა ძირი ჯანმრთელი კედარი. კვლევა-ძიების შემდეგ დავადგინეთ, რომ აღნიშნული ტერიტორია სახელმწიფოსგან „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯიამ“ 2008 წლის 11 ნოემბერს შეისყიდა საერთო ფართით 1721 კვ.მ. ჩვენ საჯარო რეესტრიდან*

გვ-2

კაიაკინგი ოზურგეთში შესაძლოა წარსულს ჩაბარდეს

ალიონი. ცოტა ოზურგეთულად თუ არ მიეხედა ამ საქმეს, რომელიც უკვე ოზურგეთული ბრენდია, სპორტის ეს ექსტრემალური სახეობა – კაიაკინგი, ოზურგეთში საბოლოოდ გულს დახურავს. ამის შესახებ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 7 ოქტომბრის სხდომაზე ითქვა.

საკრებულომ ამ სხდომაზე მეტად გადატვირთული დღის წესრიგი წარმოადგინა. 17 განსახილველი თემიდან დეპუტატებისა და დამსწრე საზოგადოების განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია საკითხმა „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“, ამ ნუსხაში შეტანილია „მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული (საკადასტრო კოდი 26.33.-23.10) შემოქმედის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე 6000 კვ მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, ღირებულებით 60 000 ლარი.

ოზურგეთის მერიამ ამ ერთ ობიექტზე წარმოადგინა ორი ინიციერება, ორი კონკრეტული პროექტი. პირველი ეკუთვნის ეკუთვნის ქალაქ ოზურგეთში, თავისუფლების № 65-ში მცხოვრებ, ბატონ იოსებ ერქომაიშვილს, რომელიც ითხოვს პირდაპირი იჯარის წესით აღნიშნული ნაკვეთის გადაცემას კაიაკისა და ტურიზმის შემდგომი განვითარების მიზნით, მეორე კი – შემოქმედელ (გომელ) კერძო პირს, ბატონ გივი დუმბაძეს, რომელიც ითხოვს ხსენებული მიწის ნაკვეთის საპრივატიზაციო ნუსხაში შეტანას და აუციონზე გატანას. ბატონი გივი სხდომას არ ეს-წრებოდა, რადგან, როგორც გვი-თხრეს, არც ჰქონია ამის ვალდებულება.

დეპუტატების ერთი ნაწილის თქმით ამ საკითხების ასეთნაირად გამოტანით მერიამ პასუხისმგებლობა საკრებულოს დააკისრა.

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის გიორგი ღურჯუმელიძის თქმით, ორივე მაგარი პროექტია და განხილვის დროს აუცილებელია კანონით გათვალისწინებული პროცედურების დაცვა. პირობიანი აუქციონი იქნება, ალბათ, ყველაზე სწორი გადაწყვეტილება.

დეპუტატმა მარიკა ჩხიკვიშვილმა საკითხები მოუმზადებლად მიიჩნია და მერიის ეკონომიკური სამსახურის ხელმძღვანელს ალეკო მამეშვილს უთხრა, რომ ან ერთი მხარე უნდა წარმოგედგინა, ან მეორე.

დეპუტატმა თორნიკე გოგუაძემ კი კოლეგებს მიმართა: ჩვენ ხომ არ აგვეღო ეს პასუხისმგებლობა იჯარის წესით გაცემაო.

საბოლოოდ დეპუტატებმა მხარი დაუჭირეს საკითხის უფრო საფუძვლიანად მომზადებას და ერთი თვის შემდეგ განხილვას.

თუ მოხდა ისე, რომ ერთი თვის შემდეგ ბატონი სოსო ერქომაიშვილის პროექტი „თამაშგარეში აღმოჩნდა“, როგორც დეპუტატმა ვასო ჩიგოგიძემ თქვა, ცოტა ოზურგეთულად თუ არ მიეხედა ამ საქმეს, რომელიც უკვე ოზურგეთული ბრენდია, კაიაკინგი, ოზურგეთში საბოლოოდ გულს დახურავს.

როგორც სხდომაზე ბატონმა იოსებ ერქომაიშვილმა განაცხადა, ეს პროექტი გუშინ და გუშინწინ არ დაწყებულა:

„ეს პროექტი გუშინ და გუშინწინ არ დაწყებულა,მე, რომ გურიის გუბერნატორის მოადგილე ვიყავი მაშინ დაიწყო. 2017 წლიდან მოყოლებული მოდის ეს საკითხი. აქედან გამომდინარე, თუ ჩვენ ამას დროში მოვკლავთ, მაშინ იქნება ძალიან უხერხული. მიუხედავად იმისა, რომ მერიამ არასწორი ნაბიჯები გადადგა თუ არ გადადგა, მაგას იურისტები შეაფასებენ, ეს პროცესი უკვე ძალიან ჩიხში შედის. იქედან გამომდინარე, რომ ჩვენ გვჭირდება განვითარება, ჩვენ გვჭირდება ტურიზმი, მოგეხსენებათ, გურია რა მდგომარეობაშია, შესაბამისად თუ არის იმის შესაძლებლობა, რომ აი, ამ ორი ინსტიტუციის რამენაირად ესეთი რაღაცა, მშვიდობა ჩამოვარდეს, თუნდაც ამ პროექტის ფარგლებში, ეს შესაძლებელი თუ არის, მოდით, გავაკეთოთ ეს“.

შემოქმედში, მდინარე ბჟუჟის აუზში საერთაშორისო შეჯიბრებები და ევროპის ჩემპიონატი კაიაკში იმართება საქართველოს კაიაკინგის ფედერაციის, საზოგადოებრივი მოძრაობა „გააცოცხლე გურიას“, სამხარეო ადმინისტრაციისა და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ჩართულობით, რამაც ჩვენს მუნიციპალიტეტს გაუთქვა სახელი ევროპულ ქვეყნებში.

წლეულს, კოვიდ-პანდემიასთან დაკავშირებული პრობლემების გამო, ჩემპიონატი არ ჩატარებულა

როგორც წერილის დასაწყისში აღვნიშნეთ, სხდომას არ ესწრებოდა ბატონი გივი დუმბაძე, თორემ მის პროექტსაც სიამოვნებით გავაცნობდით მკითხველს.

გაზეთი „ალიონი“ სარეკლამო მომსახურების ტარიფები

– მე-2 მთლიანი გვერდის (648 კვ.სმ) ღირებულება 120 ლარია;

– მე-3-7 (თითოეული 810 კვ. სმ) მთლიანი გვერდებისა – 150-150 ლარი;

– 1-ლი, ფერადი გვერდი მთლიანად (810 კვ. სმ) არ იყიდება, ნახევარი გვერდის (405 კვ. მ) ღირებულება 300 ლარია;

– ბოლო, მე-8, ფერადი გვერდი მთლიანად 300 ლარი ღირს;

– შიდა შავთეთრ გვერდებზე ფერადი ბეჭდვის შემთხვევაში გვერდის საფასური 50 ლარით იზრდება.

– პოლიტიკური რეკლამის ღირებულება ორმაგია;

– მილოცვა ფერად გვერდზე 32,40 კვ. მ-ზე, სურათით - 25 ლარი;

– სამგლოვიარო განცხადება - სიტყვა 25 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

– გახსენება, ნეკროლოგი – სიტყვა 20 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

საცალო ფასი: 60 თეთრი,
ხელმოწერა:
ერთი თვით – 2,40 ლარი,
სამი თვით – 7,20 ლარი,
6 თვით –14,40 ლარი,
ერთი წლით – 29,60 ლარი.

გაზეთში გამოქვეყნებული მასალების შინაარსი შეიძლება არ ემთხვეოდეს რედაქციის თვალსაზრისს.

ავტორები თვითონ არიან პასუხისმგებელი ინფორმაციის სიზუსტეზე.

რედაქციაში აუდიოჩანაწერები ინახება ორი კვირის განმავლობაში, ამ ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზიები აღარ მიიღება.

რედაქცია ავტორებისაგან არ მიიღებს სამ ხელნაწერ გვერდზე მეტ მასალას.

გამოქვეყნებული მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია რედაქციიდან ნებართვის გაცემის გარეშე.

სარედაქციო კოლეგია

რედაქტორი
ნუგზარ ასათიანი
nugzarasatiani@rambler.ru
558 499100

საინფორმაციო სამსახურის ხელმძღვანელი:
თემურ მარშანიშვილი
tem52@mail.ru
599 373515

კომპიუტერული უზრუნველყოფა
გიორგი გოგოლაძე
gia_77@mail.ru
551 576060

რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ.№3
ტელ: 558 499 100 გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 №44/4-311
გაზეთი იბეჭდება გამომცემლობა „მერიდიანში“
მის: თბილისი, ვ. ბაგრატიონის ქ. №77

დაინყეთ ყოველი ოჩშაბათი ალიონზე

«ალიონით»

ოზურგეთელმა „მამლუქებმა“ ექადიაზე 9 ძირი კედარი მოჭრეს

ამოვიღეთ ყველა ინფორმაცია. მათ სამჯერ აქვთ საკადასტრო რუკები შეცვლილი 2008, 2014 და 2017 წლებში. მოკლედ, „ვისოლის“ საკუთრებაში აღმოჩნდა ქარსაცავი ზოლი. 2020 წელს კომპანიამ აღნიშნული ტერიტორია მიჰყიდა შპს „მამლუქს“, რომელმაც რამდენიმე დღის წინ მოჭრა ჯანმრთელი კედრები და დაიწყო რაღაცის მშენებლობა. როგორც გვითხრეს, მათ კომერციული მიზნებისთვის სურთ ამ ტერიტორიის გამოყენება.

რა თქმა უნდა ჩვენ გამოვიძახეთ გარემოს დაცვა, მერიის ზედამხედველობის სამსახური. გვითხრეს რომ ეს არის კერძო საკუთრება და მესაკუთრეს ხეების მოჭრის უფლება ქონდა. ნათელია, რომ ამ საქმეს აწი არაფერი ეშველება. ახლა მთავარია ის, რომ ქარსაცავი ზოლები არის დაუცველი. რომ არ მოხდეს მსგავსი ფაქტები, გარემოს დაცვის სათემო ორგანიზაცია-„ეკო“ შევდივართ ინიციატივით საკრებულოში, მერიამ დაირეგისტრიროს ქარსაცავი ზოლები. ამით თავიდან ავიცილებთ მიწების გასხვისების შემთხვევაში ქარსაცავების განადგურებას.

ეს აუცილებელია სამომავლოდ თავის დაცვისთვის. დღეის მდგომარეობით ქარსაცავი ზოლები და პარკები ნებისმიერს შეუძლია იყიდოს და მოექცეს ისე, როგრც მათ თავად სურს.

რაც შეეხება ზემოთდასახელებული ტერიტორიის ამჟამინდელ მფლობელს, შპს „მამლუქის“ დამფუძნებელს გოჩა ღონღაძეს, ამ ეტაპზე მასთან დაკავშირება ვერ შევძელით.

სასაწავლო პროცესი ოზურგეთში ორშაბათიდან განახლდება

ალიონი. თუ როგორი მდგომარეობაა გურიაში კორონავირუსის გავრცელებასთან დაკავშირებით, ამაზე დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის გურიის ოფისის ხელმძღვანელი **არჩილ მჟავიან** გვესაუბრა:

–პარასკევის, დღის პირველი ნახევრის მონახემებით „COVID-19“-ინფიცირებულთა სტატისტიკას კიდევ სამი ადამიანი შეემატა. აქედან ორი შემთხვევას ოზურგეთის სოფლებში დაფიქსირდა, ერთი ლანჩხუთში. მიმდინარეობს მოკვლევა კონტაქტების დადგენის მიზნით.

მდგომარეობა კონტროლს ექვემდებარება – გურიაში 224 ინფიცირების ფაქტია დაფიქსირებული.აქედან ოზურგეთში დაფიქსირებულია 163 შემთხვევა, ლანჩხუთში-45. ჩოხატაურში-15. ყველა შემთხვევის წყარო დადგენილია.

გამოჯანმრთელებულია 135 ყოფილი ინფიცირებული. ლაითურში სიტუაცია დასტაბილურდა. სკოლები ლაითურის გარდა ყველაგან განაახლებენ სასწავლო პროცესს. ბაღებს რაც შეეხება რამდენიმე სოფელში შესაბამისი პირობებია შესაქმნელი რომ დაიწყოს სააღმზრდელო პროცესი, –გვითხრა არჩილ მჟავიამ.

რაც შეეხება საბავშვო ბაღებს, როგორც ბაღების გაერთიანების უფროსმა **მაკა ჭყონიამ** *გვითხრა, საბავშვო ბაღებში დასრულდება „სოკარის“ რეკომენდაციების შესრულება და მომდევნო ორშაბათიდან განახლდება სასწავლო პროცესი.*

მშობლების საყურადღებოდ – მთავრობა SMS-შეტყობინებას ავრცელებს

საქართველოს მთავრობა მოკლე ტექსტურ შეტყობინებებს აგზავნის და მშობლებსა და ბავშვებს შემდეგი რეკომენდაციებით მიმართავს:

მშობლების საყურადღებოდ: არ გაუშვათ ბავშვი სკოლაში, თუ მას აქვს მომატებული ტემპერატურა (37 და მეტი), ხველა, სურდო ან სხვა რესპირატორული სიმპტომი;

ამ შემთხვევაში აცნობეთ სკოლას ბავშვის გამოუცხადებლობის მიზეზი; გამოიძახეთ ოჯახის ექიმი ან დარეკეთ 112-ზე;

სკოლაში ბავშვებმა უნდა დაიცვან მინიმუმ, 1-მეტრიანი დისტანცია; ხშირად დაიბანონ ხელები საპნით და დაიმუშაონ სპირტიანი ხსნარით; თქვენი მხარდაჭერა უმნიშვნელოვანესია „Covid 19-ის“ წინააღმდეგ ბრძოლაში – მთავრობის ადაპტაციისა და მართვის გეგმის აღრსულებაში!

სახელმწიფო რწმუნებული ზურაბ ნასარაია, ეუთოს მისიის წარმომადგენლებს შეხვდა

გურიის სახელმწიფო რწმუნებული **ზურაბ ნასარაია**, ეუთოს სადამკვირვებლო მისიის წარმომადგენლებს, **ბორნ ტედემანს** და **მაშუ პულსენს** შეხვდა.

სამუშაო შეხვედრაზე რეგიონში მიმდინარე პროცესები და გურიაში არსებული გამოწვევები განიხილეს. ზურაბ ნასარაიამ სტუმრებს რეგიონის განვითარების პრიორიტეტულ მიმართულებებზე, მიმდინარე და დაგეგმილ პროექტებზე ესაუბრა. საუბარი ასევე შეეხო რეგიონში კოვიდ-19-ის პანდემიის გამო შემქნილ მდგომარეობას.

გურიის სახელმწიფო რწმუნებული ტრანსასაზღვრო თანამშრომლობის კონგრესში მონაწილეობდა

გურიის სახელმწიფო რწმუნებული ზურაბ ნასარაია, ლუბლინის (პოლონეთი) პრეზიდენტის მიწვევით, ტრანსასაზღვრო თანამშრომლობის კონგრესში მონაწილეობდა.

სახელმწიფო რწმუნებულმა, ევროპელ ექსპერტებთან ერთად, კონგრესის წამყვანი თემის „ადგილობრივი თვითმმართველობის პრიორიტეტები ახალ რელობაში“ - ფარგლებში, პანდემიურ ვითარებაში საჯარო მმართველობის პრიორიტეტებზე ისაუბრა. ყურადღება გაამახვილა კრიზისის დაძლევის გრძელვადიან ხედვაზე, ასევე, ევროპელ კოლეგებს გაუზიარა გამოცდილება და საუკეთესო პრაქტიკები გურიის რეგიონის მაგალითზე. ტრანსასაზღვრო თანამშრომლობის კონგრესი ოთხი დღე მიმდინარეობდა. კონგრესში 9 ქვეყნის 900 წარმომადგენელი მონაწილეობდა. თემატური პანელური დისკუსიები და სემინარები ვირტუალურ სივრცეში, თანამედროვე პლატფორმის გამოყენებით გაიმართა. პრაქტიკოსები და ექსპერტები კოვიდ19-ის პანდემით შექმნილ გამოწვევებსა და მათი დაძლევის სხვადასხვა გზებზე მსჯელობდნენ.

ტრანსასაზღვრო თანამშრომლობის კონგრესი გასულ პარასკევს ოფიციალურად დაიხურა.

სოფელ ორმეთში 600 მ. სიგრძის რკინა-ბეტონის გზა მოეწყო

შრომის ტერიტორიულ ერთეულში, სოფლის მხარდაჭერის 2020 წლის პროგრამით ინფრასტრუქტურული სამუშაოები მიმდინარეობს.

ადგილობრივი მოსახლეობის ჩართულობით 600 მ. სიგრძის რკინა-ბეტონის გზა, ამჯერად, სოფელ ორმეთში მოეწყო.

უგზობის პრობლემა აღნიშნულ მონაკვეთზე ადგილობრივი მოსახლეობის მრავალწლიან პრობლემას წარმოადგენდა.

სოფლის მხარდაჭერის პროგრამით შრომაში წელს არაერთი ინფრასტრუქტურული პროექტი განხორციელდა: მოეწყო ბეტონის გზები, რეაბილიტირდა სტადიონი და დამონტაჟდა სასმელი წყლის სისტემა.

უფასო პოლიტიკური რეკლამა

რამაზ ზოიძე: „კერძო იმიჯისათვის მორგებულ საარჩევნო კამპანიებს ვხედავთ..“

კოვიდ 19 ვირუსისგან გამოწვეული სიტუაციიდან გამომდინარეც კი არჩევნების თემა მაინც აქტუალური და ერთ-ერთი მოწინავეა დღესდღეობით, რაც იმის დამადასტურებელია რომ ქართველ ხალხს ბედნიერი მომავლის, კეთილდღეობის და ღირსეული ცხოვრების მისწრაფება აქვს. რომელსაც ნამდვილად იმსახურებს თითოეული ღირსეული მოქალაქე.

კერძოდ გურიაში ვერ ვიტყვი რომ მშვიდი სიტუაციაა. ყოველ შემთხვევაში შიდა სამზარეულოდან ძალიან არეული და კერძო იმიჯისთვის მორგებულ საარჩევნო კამპანიებს ვხედავთ, ფულის უმისამართოდ განიავება, საარჩევნო-სააგიტაციო მასალის და სარეკლამო დროის ფლანგვაა... ეს უბრალოდ შეუგნებლობას ნიშნავს, რომელიც აზარალებს ჩვენს ეკონომიკას.

„ქართული მარში-ეროვნული მოძრაობა“ ის ძალაა, რომლის ძირითადი მიზანი ეროვნული, სტაბილური გაერთიანებული, ეკონომიკურად ძლიერი და ღირსსეული საქართველოა.

ზუსტად ამიტომ ვარ ამ გუნდში.

პ.ს. გაზეთ „ალიონის“ №28-ში , თემაზე როგორი საარჩევნო გარემოა ოზურგეთში, დაიბეჭდა 9 მაჟორიტარი კანდიდატის პასუხი. რედაქცია გამოთქვამს მზადყოფნას, საგაზეთო ფართი უფასოდ დაუთმოს სხვა კანდიდატებსაც.

ლანჩხუთში „ქართული ოცნების“ სამმა წევრმა პარტია დატოვა და „სოლიდარობის ალიანს“ შეუერთდა“, ალექსანდრე სარიშვილი აღნიშნულს არ ადასტურებს

9 ოქტომბერს, ქალაქ ლანჩხუთში გამართულ „სოლიდარობის ალიანსის“ შეხვედრაზე ლანჩხუთლებმა ჯანო *ქინქლაძემ, ნიკოლოზ ვადაჭკორიამ, ავთანდილ სარჯველაძემ,* პარტია „ქართული ოცნება“ ღიად დატოვეს და „ ჩვენი საქართველო სოლიდარობის ალიანს" შეუერთდნენ. მანამდე „ქართული ოცნება“ დატოვა ამ პარტიის წევრმა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოცია-ლური და ჯანდაცვის განყოფილების ყოფილმა უფროსმა *თამარ დუმბაძემ* აღნიშნული ქ. ლანჩხუთში,პარტია „სოლიდარობის ალიანსის“გენერალურ მდივან მარიამ ჯაშთან შეხვედრის შემდეგ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატმა **ნინი შეწირულმა** დაგვიდასტურა, მანვე გვითხრა,რომ როგორც აღნიშნული პარტიის გენერალურმა მდივანმა, მარიამ ჯაშმა განაცხადა,ქვეყნის მასშტაბით „სოლიდარობის ალიანს“ ბევრი ადამიანი უერთდება. პირველი მმართველი პარტიიდან ვინც პარტია დატოვა ჩხოროწყუს საკრებულოს თავმჯდომარე,ბესიკ ესებუა იყო და ეს პროცესი გრძელდება.

ნინი შეწირულის თქმით, შეხვედრაზე მარიამ ჯაშმა განსაკუთრებით აღნიშნა მათი პარტიის მისამართით, წევრების დაშინებაზე და ხელისუფლებას მოუწოდა, მსგავსი ქმედებები შეწყვიტოს.

პარტია „ქართული ოცნების“ ლანჩხუთის ორგანიზაციის თავმჯდომარე – **ალექსანდრე სარიშვილი:** – „ჩვენი საქართველო-სოლიდარობის ალიანსის“ განცხადებას ეხმაურება, რომლის მიხედვითაც მმართველი გუნდიდან რამდენიმე პირი მათ რიგებში გადავიდა.

ალექსანდრე სარიშვილი აღნიშნულ ფაქტს უარყოფს და აცხადებს, რომ გავრცელებული ინფორმაცია სიცრუეა.

– „*სოლიდარობის ალიანსის განცხადება, თითქოს, ჩვენი პარტიის რიგებიდან მათ გუნდში ვინმე გადავიდა, მტკნარი სიცრუე და სრული აბსურდია. პირები, ვისზეც არის საუბარი, სხვადასხვა პარტიას წარმოადგენდნენ და ეს ახალი არ არის. შეგიძლიათ, გადაამოწმოთ, რომ ეს ადამიანები სხვადასხვა პარტიის წევრები იყვნენ წლების განმავლობაში. ასეთი განცხადებები სხვა პარტიების მხრიდან წინა წლებშიც გვესმოდა. მაგალითად, „ევროპული საქართველო“ მუდმივად ამტკიცებდა, რომ „ქართული ოცნებიდან“ რიგი პიროვნებები მათთან გადადიოდნენ, შემდეგ კი აღმოჩნდებოდა, რომ ეს პირები „პატრიოტთა ალიანსიდან“ იყრიდნენ კენჭს და მათ ბანერებს ქუჩაში ვხედავდით. მინდა, მოვუწოდო „სოლიდარობის ალიანსს“, ნუ დაემსგავსებიან „ნაცმოძრაობას“ და საარჩევნო კამპანიას ტყულზე ნუ აგებენ*“, – აღნიშნა ალექსანდრე სარიშვილმა.

სიკეთე ვასილ ჩიგოგიძის ცხოვრების წესია

ვასილ ჩიგოგიძის სახელი არა მხოლოდ გურიაში, არამედ სრულიად საქართველოშია ცნობილი. იგი თავისი ცხოვრების წესით მაგალითია იმისა თუ როგორი უნდა იყოს ჭეშმარიტი ერისკაცი, ქველმოქმედი.

მოგეხსენებათ, ჩოხატაურის მოსახლეობის მრავალწლიანი ოცნება იყო დაბაში ტაძრის აშენება. მრავალი წლების მანძილზე იყო დაპირებები ამა თუ იმ პიროვნებების მიერ, მაგრამ ამაოდ.

ღვთის მადლითა და შეწევნით 2009 წელს ვასილ ჩიგოგიძის მიერ იქნა აღსრულოებული ჩოხატაურელების დიდი ხნის ნატვრა და დღეს მუნიციპალიტეტს ამშვენებს წმინდა იოაკიმ და ანას სახელობის ტაძარი.

დაუვიწყარია ის დღე, როცა ტაძარი შემოქმედელ მღვდელმსახურებთან ერთად აკურთხა საქართველოს კათოლიკოს პატრიარქმა ილია მეორემ და გაწეული ღვაწლისთვის დალოცეს ბატონი ვასილ ჩიგოგიძე. აქვე უნდა აღინიშნოს, უწმინდესის დიდი პატივისცემა ბატონი ვასილისადმი. რაც იმაშიც გამოიხატება, რომ ტაძრის გახსნის თარიღის შერჩევისას, პატრიარქმა, ბატონი ვასოს დაბადების დღის თარიღი 17 - ნოემბერი დაასახელა.

ამავე დროს ეკლესიის გვერდით არსებულ დედათა სამონასტრო კომპლექსს ბატონი ვასოს უშუალო დახმარებით ჩაეყარა საფუძველი. ყოველივე ამისთვის კი უსაზღვროდ მადლიერია ეკლესია-მონასტრის მსახურნი და მრევლი.

ბატონი ვასოს სახელს უკავშირდება ქ. თბილისში, აბანოთუბანში ორმოცი სებასტიანელი მოწამის საკათედრო ტაძრის აღდგენა.

მნიშვნელოვანი წვლილი აქვს შეტანილი სხვადასხა ეკლესია-მონასტრის რესტავრაცია-აღდგენის სამუშაოებში.

ადამიანებისადმი თანადგობა,

შეიძლება ითქვას ვასილ ჩიგოგიძის თანდაყოლილი უნარია. ყველას კარგად ახსოვს ჩოხატაურის გრიგოლ ხანძთელის ეკლესიასთან არსებული სოციალურად დაუცველი ადამიანებისთვის უფასო სასადილო, რომელსაც წლების მანძილზე გვერდში ედგა ბატონი ვასო ყოველთვიურად ურიცხავდა კვების თანხას შეჭირვებული მოსახლეობის გამოსაკვებად. კარგად მახ მახსოვს, მაჟორიტარობის პერიოდში შეჭირვებულ ოჯახებს პირადი სახსრებით ეხმარებოდა და არა მხოლოდ პროდუქტებს, ტანსაცმელსა და საყოფაცხოვრებო ნივთებს, სამშენებლო მასალებსაც კი გადასცემდა.

შეუძლებელია ჩამოთვალო ის სიკეთეები, რომელიც ვასილ ჩიგოგიძის მიერაა შესრულებული. ის არის ადამიანი, რომლის ცხოვრები წესი სიკეთე, მოყვასის თანადგომაა. ამიტომაც უყვართ ხალხს და ეიმედებათ, სწამთ რომ მუდამ მათ გვერდით იქნება და მათ ჭირსა თუ ლხინს გაიზიარებს. როგორც ამბობენ: სიკეთე გადამდებია და ჩვენც ვისურვოთ, რომ იმრავლოს ისეთმა ადამიანებმა, როგორიც ბატონი ვასილ ჩიგოგიძეა.

ქეთევან კუკულავა.

ოზურგეთის საოლქო-საარჩევნო კომისიის აქცია ოზურგეთში

„ვესაუბრებით ამომრჩეველს“, ამ სლოგანით 6 ოქტომბერე, ქ. ოზურგეთში, „ჭადრების ბაღში“ ოზურგეთის №60 საოლქო-საარჩევნო კომისიის წევრებმა აქცია გამართეს. მიმდინარეობდა ამომრჩეველთა ერთიან სიაში კონკრეტული ამომრჩევლის გადამოწმება.

ისრაელის გაერთიანება „გულთა კავშირის“ პრეზიდენტი ისრაელში და საქართველოში

გაზეთ „ალიონის“ 14 სექტემბრის ნომერში დაიბეჭდა ინტერვიუ „შალომ კლუბ გურიას“ პრეზიდენტთან ზაურ ოსეფაშვილთან, „შალომ კლუბი“ 17 წლის გადასახედიდან“. ამ ინტერვიუში ძირითადად „შალომ კლუბის“ საქმიანობაზე იყო საუბარი. ბუნებრივია, ზაურ ოსეფაშვილმა ჩოხატაურელ ვასილ ჩიგოგიძის შესახებაც გვესაუბრა. აღნიშნულ ინტერვიუს გამოეხმაურა გაერთიანება „გულთა კავშირი" პრეზიდენტი ისრაელში და საქრთველოში დაფასებული და ღირსეული ადამიანი, გურიის გულშემატკივარი და მეგობარი. საქართველოს კულტურის დესპანი ისრაელში **რობერტ ადარი:**

„ბ-ნო ზაურ!

სასწაულები მოგისმინეთ! აი ვინ ჭირდება, ჩვენს საყვარელ გურიას და გურულ ხალხს! კაცი, რომელიც თავის ცოდნით, უნარით, გამოცდილებით და გაქანებით, თავგადადებულად, ჭირშიც და ლხინშიც, გურულ ხალხთან ერთად იქნება და არ დაიშურებს ნიჭს, უნარს, თავის შრომითი რესურსების არანაირ დანახარჯებს და თავისი მოვალეობის მხრივ, სათანადო საპასუხისმგებლო სიმაღლეზე პირნათელი იქნება ყოველთვის. ისრაელის პატარა საქართველო, წარმატებას უსურვებს, ბ-ნ ვასილ ჩიგოგიძეს! წარმატება ვფიქრობთ გარანტირებული იქნება, მის განვლილ გზაზე ნაკეთები, იმ უამრავი სახელმწიფოებრივი

მნიშვნელობის საამაყო საქმეებიდან გამომდინარე.

ხალხი არაფერს ივიწყებს !

ჩვენი მშობლიური საქართველოდან, ისრაელში ამოსული რეპატრიანტები, წარმატებას ვუსურვებთ ბ-ნ ვასილ ჩიგოგიძეს, სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის მეტად საპასუხისმგებლო და საამაყო საქმიანობაში.

აყვავება გურიას, გურულ ხალხს და მათ თითოეულ ოჯახს, ამეეეეეეეეენ !!!“–წერს რობერტ ადარი „შალომ კლუბ გურიას“ პრეზიდენტს. ზაურ ოსეფაიშვილს.

როგორია ქართული დემოკრატია არჩევნების დროს

ოზურგეთში, ისევე, როგორც სხვა მუნიციპალიტეტებსა და ქალაქებში საარჩევნო პლაკატების ტოტალური ფხრეწა მიმდინარეობს. როგორც ჩანს, ზოგიერთი საარჩევნო ბლოკისა თუ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატს ჰგონია, რომ არჩევნებზე მით მეტ ხმას მიიღებს, რაც მეტი ოპონენტის პლაკატს ჩამოხვევს მისი ზონდერი ამ ფხრეწა-ფხრეწით გასაცოდავებული ბოძებიდან თუ ხეებიდან.

ერთ ძველ, ანეგდოტად ქცეულ ამბავს გავიხსენებ: ყაზბეგში ხანძარი გაჩენილა, ამ დროს კი რაიონის ადმინისტრაციული შენობის თავზე დამონტაჟებული რადიომიმღებიდან ისმოდა სიმღერა „მოდი და ვნახოთ ყაზბეგი, რა ტურფა სანახავიაო“. ყაზბეგი მაღალი წერტილია და უპრიანი იქნება თუ იქედან ამ საარჩევნო პერიოდში საქართველოს გადმოვხედავთ, რადგან მაშინდელი ყაზბეგის მსგავსად, ეს ჩვენი განახევრებული, გათითოკაცებული და გაღატაგებული ქვეყანა ნაკლებად „ტურფა“ სანახავი ნამდვილად არ უნდა იყოს. თუ ვინმე ვერ ხედავს, რომ რეგიონებში დაპირებების აღელვებული ზღვები დედაქალაქში ასევე დაპირებების აზვირთებულ ოკეანეს უერთდება და ამ ზღვებსა და ოკეანეში ამომრჩეველი ლიფსიტასაც ვერ დაიჭერს, როგორ ვთქვა, მაგრამ იმას, მხედველობის პრობლემაც ჰქონია და ჭკუისაც.

ვერ სად ხართ, 31 ოქტომბრამდე ამ ოკეანის აუზში კვლავაც იმდენი დაპირება ჩაეშვება, მსოფლიო ეკონომიკას შეშურდება ჩვენი ეკონომიკური პოტენციალი და ამ დაპირებათა 10 პროცენტიც რომ შესრულდებოდეს, ქვეყანა ქვეყანას დაემსგავსება და ხალხი – ხალხს, მაგრამ მტერი არაა მეტი. მაინც რამდენი ფული ჰქონიათ ამ ქვეყნის ამაორებლებს?! აბა, სხვა რა დავარქვა იმ ადამიანებსა და პარტიებს, რომელთა გამოისობითაც, რომელთა მმართველობითა თუ ოპოზიციონერობით ქვეყანა იმ მიცვალებულს დაემსგავსა, რომელსაც წინაპრის სისხლით გაპოხილი დასამარხი მიწაც არ დაუტოვეს. არჩევნებამდე რომლისთვისაც არ უნდა მიგემართათ დასახმარებლად, სადაა ბაბაია ფულიო, ყბისმოქცევით გამოვისტუმრებდნენ, ახლა კი გახედეთ, რა დღეში არიან ეგ გათახსირებულები. ნახეთ, ცხრაწლიანი სისხლიანი მმართველობის ავტორებმა და მონაწილეებმა, გაუევოპელებლებმაც და გაევროპელებმაც, თავი რომ აბრაამის ბატკნად მოაქვთ, როგორ გადააჭრელეს ქვეყანა თავიანთი ბილბორდებითა და პლაკატებით, როგორ იხევიან ჭიპზე – ხმა მოგვეციოთ, ქვეყნის ტერიტორიის 20 პროცენტის გამცემ-გამსხვისებელი, საკუთარი ახალგაზრდობის მულეტელმხვრეტელი, სამართალი რომ პურს ჭამდეს, ეს მართლაც ციხეში ამოსალპობი ხალხი. გამარჯვებაში დარწმუნებულები მუქარებსაც რომ აღარ ერიდებიან. გასდით და აბა, რას იზამენ?!

რატომ გასდით? რატომ და – დემოკრატიის მოთამაშე „ოცნება“ – დღევანდელი მმართველი პარტია რომ არის „ჩმორი“, თავსმოხვეული კოჰაბიტაციით ცხვრის ქურქი რომ მოარგო მგელს და უნაგაზო ფარაში შეუშვა იგი; რატომ და – ოკეანის გაღმელ თუ გამოღმელ გავლენიან „დემოკრატიის მამებს“ სწადიათ ასე, რამეთუ შვილობილის, ანუ „ნაცების“ ჭყლოპინი მათთვის უფრო მო-საწონი და სარგებლიანია.

როგორც ჩანს, „უნიათობის“ ეტიკეტი მთლად ტყუილად არ მიუკერებიათ „ქართული ოცნებისთვის“ დემოკრატია არ ნიშნავს იმას, ოპოზიციის დუდუკზე ცეკვავდე და აქოდა, დემოკრატიას ვაშენებთო, ყველას ყველაფრის უფლებას აძლევდე, მით უფრო მესაბოტაჟეებს, მხედველობაში მყავს „ნაციონალები“, საქართველოს მოუშორებელი ჭირი, რომელსაც, ხელისუფლებიდან წასვლის შემდეგაც, ქვეყნისთვის არანაირი სარგებელი არ მოუტანია. და ასეთ ფონზე, ამ საარჩევნო პერიოდში კიდევ ერთხელ „ივაუკაცა“ „ქართულმა ოცნებამ“, ადგა და მსუყედ დააფინანსა ჩვენს რეგიონში მისი პერნამენტულად ძირგამომთხრელი და დასაბამიდან „ნაციონალების“ მეხოტბე მედიასაშუალება. არ მითხრათ ახლა, დემოკრატია ასე ითხოვსო. რა გითხრათ, იცით? მტერს და მოყვარეს რომ ვერ გაარჩევ, ეს არ არის დემოკრატია! ასე როცა იქცევი, ან მხდალი ხარ, ან კიდევ უკანალი გაქვს მოსვრილი და ცდილობ, როგორმე არ ეჩვენო საზოგადოებას ნატურალურ მდგომარეობაში, არჩევნების დროს მაინც,

ისე, როგორც არ უნდა დამთავრდეს, ეს არჩევნები ისტორიული იქნება მაჟორიტარი დეპუტატებისთვის, რომლებიც საქართველოს საკანონმდებლო ორგანოს „უკანასკნელი მოჰიკანები“ იქნებიან. აბა, პრემიერების მეტი საქართველოს რა ეყოლება, თუმცა, იმდენი კანდიდატი, რამდენიც ახლა უშტიმავს თვალს პირველი ხელისუფალის სავარძელს, ალბათ, არასოდეს გვეყოლება და თუ ასე დარჩა, ესეც ისტორიულია.

ძალადობენ თუ არ ამომრჩეველზე? პირდაპირ არა, მაგრამ, როცა ადამიანს ტვინს ულაყებენ ოლიგარქიული მმართველობა სჯობია თუ სისხლიანი რეჟიმი, რა ჰქვია ამას თუ არა ძალადობა?!

ამაოდ ყვირის ვკანაღი ამომრჩეველი: „ჰეი, ვინ მოდის მანდ მომავლიდანო?!“. იყვიროს რამდენიც უნდა, რომც ვინმე მოდიოდეს, (ჩანს საამისო კონტურები) ესენი და აჟიტირებული ამომრჩევლები დაანებებენ მოსვლას?! ვენერიულ დაავადებასავით მაშინვე „რუსეთუმეობას“ აჰკიდებენ“ და ისე გაძევებენ პოლიტიკური ველიდან. სამწუხაოდ, ასეთია დღევანდელი ქართული დემოკრატია, განსაკუთრებით არჩევნების დროს.

კოკა თელია.

სკანვორდი



პასუხები:

ხელოვანი – ბეთანელი; ბოსტნეული – ალიკა; ალიკა – ალიკა; ალიკა – ალიკა; ალიკა

კაპიტალისტური მრეწველობის განვითარება და ამქრული წარმოების დეგრადაციის დაჩქარება საქართველოში

დასაწყისი იხ. „ალიონი,“№25-27

იბეჭდება ექსკლუზიური უფლებით



XIX საუკუნის 80-90-იან წლებში კაპიტალიზმის განვითარებამ, ფაბრიკებისა და ქარხნების დაარსებამ დააჩქარა ამქრული წარმოების დეგრადაცია. ამქრების დიდი წინააღმდეგობის მიუხედავად, რუსეთიდან და უცხოეთიდან შემოტანილ საქონელს მათ მიერ შექმნილი პროდუქცია კონკურენციას ვეღარ უწევდა. არათუ თბილისსა და სხვა ქალაქებში, სოფლებშიც ყოველწლიურად იზრდებოდა მოთხოვნა ფაბრიკა-ქარხნებში შექმნილ პროდუქციაზე. ცნობილი თბილისელი ხელოსნების მიერ დამზადებული საქონელი სწრაფად კარგავდა მყიდველს, ეს პროცესი განსაკუთრებით თვალსაჩინო გახდა XIX საუკუნის 90-იანი წლებიდან: ერთ დროს ხელოსნებმა კონკურენცია ვეღარ გაუწიეს რუსეთსა და უცხო სახელმწიფოებიდან შემოტანილ ტანსაცმელს, საოჯახო ნივთებს, ავეჯს და სხვ. ერთ-ერთი თანამედროვე 1887 წელს წერდა: "(...)გადმოვა რომელიმე ფრანცუზი ან ანგლიჩანი და დაივლის მთელ საქართველოს, შეისყიდის კაკლის ხეებს და მის კოჟიჟებს, რომლებსაც მდგომიარე ხეებს აჭრიან და მიაქვთ თავიანთ ქვეყნებში; იქ ხერხავენ მთელ ფიცრებად (ფანერკად), მერე მოაქვთ და ჩვენს ხელოსნებზევე ჰყიდიან ერთი-ორად და სამ ფასადაც (...); რომელი ფიცარიც დღემდე მანეთად ისყიდებოდა, ის ეხლა სამ-ოთხ მანეთად ფასობს, ისიც ჩარჩებთან, რომლებიც ყოველ ფეხის გადადგმაზე წინ გვხვდებიან ყველას." ხეზე ფასის აწევამ, ცხადია, გააძვირა ხელოსნური ნაწარმიც, რაც ისევ მყიდველის დაკარგვას უწყობდა ხელს. ამქრებს ძალზე უჭირდათ მზა ნაწარმის რეალიზაცია, ისინი, ფაქტობრივად, ვაჭარ-შემსყიდველების ხელში აღმოჩნდნენ. XIX საუკუნის 80-იან წლებში ამქრებმა რამდენჯერმე სცადეს მზა ნაწარმის გამსაღებელი კოოპერატიული მაღაზიების გახსნა, მაგრამ მსხვილმა ვაჭარ-შემ-სყიდველებმა ეს არ დაუშვეს. ცნობილი ოსტატები იძულებული ხდებოდნენ თითქმის ნიმუშის დარი ნაწარმი, მაგალითად, ავეჯი და საოჯახო ნივთები, იაფად მიეყიდათ უცხოელებისათვის (ძირითადად ფრანგებისა და გერმანელებისათვის), რომლებიც შემდეგ მათი გაყიდვით დიდ მოგებას იღებდნენ. იმავე თანამედროვის მემუარში თბილისელ ხელოსანთა ნაწარმის შემსყიდველ უცხოელთა შესახებ ვკითხულობთ: „ასე და ამრიგად ითქვამენ სახელსა, იდგამენ სასახლეებს და იძენენ ბაღებს, ჩვენ კი, ქართველებს, რომელთა მამა-პაპის სისხლით მორწყულია ჩვენი დედაქალაქი, ძვირადღა ვისმეს გვაქვს ქოხი, რომ შიგ თავი შევაფაროთ".

ასეთ მძიმე ვითარებაში მყოფი ხელოსნები იძულებული ხდებოდნენ გაეზარდათ სამუშაო დღის ხანგრძლივობა, მნიშვნელოვნად შეეკვეცათ ცხოვრებისათვის აუცილებელი მოთხოვნები. ბევრმა ხელოსანმა სახელოსნოც კი ვეღარ შეინარჩუნა და საცხოვრებელ ბინაში აგრძელებდა მუშაობას. ბევრი ცნობილი ხელოსანი ჯანმრთელობისათვის საშიშ ნესტიან სარდაფებში მუშაობდა. სავალალო იყო ისიც, რომ ხელოსნის მიერ დაქირავებულ მუშებს იმავე სარდაფებში ეძინათ, რომელთა უმეტესობაში ანტისანიტარია იყო გამეფებული.

ამქრული ხელოსნობის დეგრადაციის პროცესი კარგად ჩანს სტატისტიკური მასალიდან. 1900 წლისათვის თბილისში შემდეგი ამქრული სახელოსნოები არსებობდა:

1. **აზიური ტანსაცმლისა და ფეხსაცმლისა** – სახელოსნო 17; პროდუქციის წლიური მოცულობა –2.000-10.000 მანეთი; დაქირავებული მუშების რაოდენობა – 51; ახლად გახსნილი სახელოსნოების რიცხვი – 4; ახლად გახსნილ სახელოსნოებში დასაქმებული მუშების რაოდენობა – 7;

2. **საბანდაჟო**– სახელოსნო 1; პროდუქციის წლიური მოცულობა –2.000 მანეთი; დაქირავებული მუშების რაოდენობა – 2; ახლად გახსნილი სახელოსნოების რიცხვი – 0; ახლად გახსნილ სახელოსნოებში დასაქმებული მუშების რაოდენობა – 0;

3. **საკასრე** – სახელოსნო 3; პროდუქციის წლიური მოცულობა –300–6.000 მანეთი; დაქირავებული მუშების რაოდენობა – 13; ახლად გახსნილი სახელოსნოების რიცხვი – 1; ახლად გახსნილ სახელოსნოებში დასაქმებული მუშების რაოდენობა – 1;

4. **ბრინჯაოს ნაკეთობათა** –სახელოსნო 1; პროდუქციის წლიური მოცულობა –2.000 მანეთი; დაქირავებული მუშების რაოდენობა – 13; ახლად გახსნილი სახელოსნოების რიცხვი – 0; ახლად გახსნილ სახელოსნოებში დასაქმებული მუშების რაოდენობა – 0;

5. **ბუკინისტური** – სახელოსნო 2; პროდუქციის წლიური მოცულობა –1.000-4.000მანეთი; დაქირავებული მუშების რაოდენობა – 2; ახლად გახსნილი სახელოსნოების რიცხვი – 1; ახლად გახსნილ სახელოსნოებში დასაქმებული მუშების რაოდენობა – 1;

6. **წყალსადენის** –სახელოსნო 4; პროდუქციის წლიური მოცულობა –2.000-30.000 მანეთი; დაქირავებული მუშების რაოდენობა – 9; ახლად გახსნილი სახელოსნოების რიცხვი – 1; ახლად გახსნილ სახელოსნოებში დასაქმებული მუშების რაოდენობა – 8;

7. **ქალთა სამკაულებისა და ქუდების** –სახელოსნო 2; პროდუქციის წლიური მოცულობა –2.000-3.000 მანეთი; დაქირავებული მუშების რაოდენობა – 5; ახლად გახსნილი სახელოსნოების რიცხვი –12; ახლად გახსნილ სახელოსნოებში დასაქმებული მუშების რაოდენობა – 35;

8. **თუნუქის ნაკეთობათა** –სახელოსნო 2; პროდუქციის წლიური მოცულობა –3.000-4.000 მანეთი; დაქირავებული მუშების რაოდენობა – 6; ახლად გახსნილი სახელოსნოების რიცხვი – 2; ახლად გახსნილ სახელოსნოებში დასაქმებული მუშების რაოდენობა – 9;

9. **ოქრო-ვერცხლის ნივთებისა** –სახელოსნო 19; პროდუქციის წლიური მოცულობა –1.000-10.000 მანეთი; დაქირავებული მუშების რაოდენობა – 58; ახლად გახსნილი სახელოსნოების რიცხვი – 1; ახლად გახსნილ სახელოსნოებში დასაქმებული მუშების რაოდენობა – 1;

10. **საკარეტე (საეტლე)** –სახელოსნო 12; პროდუქციის წლიური მოცულობა –2.000-20.000 მანეთი; დაქირავებული მუშების რაოდენობა – 84; ახლად გახსნილი სახელოსნოების რიცხვი – 0; ახლად გახსნილ სახელოსნოებში დასაქმებული მუშების რაოდენობა – 0;

11. **ქვის სათლელი** –სახელოსნო 3; პროდუქციის წლიური მოცულობა –2.000-3.000 მანეთი; დაქირავებული მუშების რაოდენობა – 10; ახლად გახსნილი სახელოსნოების რიცხვი – 2; ახლად გახსნილ სახელოსნოებში დასაქმებული მუშების რაოდენობა – 2;

12. **ტექსტილის სამღებრო** –სახელოსნო 2; პროდუქციის წლიური მოცულობა –2.000-2.900 მანეთი; დაქირავებული მუშების რაოდენობა – 4; ახლად გახსნილი სახელოსნოების რიცხვი – 2; ახლად გახსნილ სახელოსნოებში დასაქმებული მუშების რაოდენობა –6;

13. **სამჭედლო** –სახელოსნო 11; პროდუქციის წლიური მოცულობა –2.000-7.000 მანეთი; დაქირავებული მუშების რაოდენობა – 40; ახლად გახსნილი სახელოსნოების რიცხვი – 2; ახლად გახსნილ სახელოსნოებში დასაქმებული მუშების რაოდენობა –6;

14. **საზეინკლო** –სახელოსნო 11; პროდუქციის წლიური მოცულობა –2.000-15.000 მანეთი; დაქირავებული მუშების რაოდენობა – 87; ახლად გახსნილი სახელოსნოების რიცხვი – 4; ახლად გახსნილ სახელოსნოებში დასაქმებული მუშების რაოდენობა – 15;

15. **სადურგლო** –სახელოსნო 18; პროდუქციის წლიური მოცულობა –1000-8.000 მანეთი; დაქირავებული მუშების რაოდენობა – 115; ახლად გახსნილი სახელოსნოების რიცხვი – 7; ახლად გახსნილ სახელოსნოებში დასაქმებული მუშების რაოდენობა –31:

16. **მეჩექმეთა** – სახელოსნო 20; პროდუქციის წლიური მოცულობა – 2.000-15.050 მანეთი; დაქირავებული მუშების რაოდენობა – 78; ახლად გახსნილი სახელოსნოების რიცხვი – 14; ახლად გახსნილ სახელოსნოებში დასაქმებული მუშების რაოდენობა –67.

17. **პურის საცხობი** – რაოდენობა– 149 ;პროდუქციის წლიური მოცულობა –1.000-25.000 მანეთი; დაქირავებული მუშების რაოდენობა – 519; ახლად გახსნილი საწარმოების რიცხვი – 90; ახლად გახსნილ საწარმოებში დასაქმებული მუშების რაოდენობა – 204;

1900 წლისათვის თბილისში უკვე აღარ მუშაობდა შემდეგი სახელოსნოები: **სახარაზო, ველოსიპედის, მეკუბოვეთა, ბამბის საპენტი, მეფა-რდაგეთა, ფერწერისა, მესატევრე-თა(მეხანჯლეთა), მექვაბეთა, მეკორ-სეტეთა, მკალავთა, ხის ავეჯისა, მეთოფეთა, ტანსაცმლის სამკერვალო, მეხელთათმნეთა, სახარატო, სადალ-აქო, მესაათეთა, მეწინდეთა, მეკრამ-იტეთა, მეფითილეთა, მექურქეთა.**

1900 წლის მონაცემებით, თბილისში შემდეგი უფრო მსხვილი საწარმეობი მუშაობდა:

1. **აგურხანა** –საწარმოს რაოდენობა 10;პროდუქციის წლიური მოცულობა –1.000-30.000 მანეთი; დაქირავებული მუშების რაოდენობა – 98; ახლად გახსნილი საწარმოების რიცხვი – 15; ახლად გახსნილ საწარმოებში დასაქმებული მუშების რაოდენობა – 77;

2. **ზეთსახდელი** –საწარმოს რაოდენობა – 1;პროდუქციის წლიური მოცულობა –5.005 მანეთი; დაქირავებული მუშების რაოდენობა – 4; ახლად გახსნილი საწარმოების რიცხვი – 0; ახლად გახსნილ საწარმოებში დასაქმებული მუშების რაოდენობა – 0;

3. **საძეხვე** – საწარმოს რაოდენობა– 2 ;პროდუქციის წლიური მოცულობა –4.000-15.000 მანეთი; დაქირავებული მუშების რაოდენობა – 13; ახლად გახსნილი საწარმოების რიცხვი – 0; ახლად გახსნილ საწარმოებში დასაქმებული მუშების რაოდენობა – 0;

4.**ასოების (შრიფტის) ჩამომსხმელი**– საწარმოს რაოდენობა–1 ;პროდუქციის წლიური მოცულობა –3.000 მანეთი; დაქირავებული მუშების რაოდენობა – 6; ახლად გახსნილი საწარმოების რიცხვი – 0; ახლად გახსნილ საწარმოებში დასაქმებული მუშების რაოდენობა – 0;

5. **ტომატის წარმოება**–საწარმოს რაოდენობა– 3 ;პროდუქციის წლიური მოცულობა –5.000-16.000 მანეთი; დაქირავებული მუშების რაოდენობა – 30; ახლად გახსნილი საწარმოების რიცხვი – 0; ახლად გახსნილ საწარმოებში დასაქმებული მუშების რაოდენობა – 0;

6. **ფირფიცრის წარმოება** – საწარმოს რაოდენობა –3 ;პროდუქციის წლიური მოცულობა –10.000-15.000 მანეთი; დაქირავებული მუშების რაოდენობა – 17; ახლად გახსნილი საწარმოების რიცხვი – 0; ახლად გახსნილ საწარმოებში დასაქმებული მუშების რაოდენობა – 0;

ხელოსნური საწარმო, რომელშიც 5-8 კაცი მუშაობს, უკვე კაპიტალისტური საწარმოა, მაშინაც კი, როდესაც შრომის იარაღები ნაწილობრივ თვით მუშებისაა და არა – სახელოსნოს მეპატრონისა, მაგრამ მუშები დაქირავებული არიან და დღიურ(თვიურ) ხელფასზე იმყოფებიან. 1900 წლისათვის თბილისში 439 სახელოსნო იყო აღრიცხული, რომლებშიც 3-8 მუშა მუშაობდა, მუშების საერთო რაოდენობა 1863 კაცს უდრიდა, წლიური პროდუქციის საერთო რაოდენობა კი – 2.098.000 მანეთს. ეს იმას ნიშნავს, რომ 1 მუშა წელიწადში 1126 მანეთის პროდუქციას ქმნიდა. ცხადია, ასეთ შემთხვევაში მუშის დღიური (თვიური) ხელფასი დაბალი იქნებოდა, შესაბამისად, დაბალი იყო მუშის ცხოვრების დონეც. საილუსტრაციოდ მოვიყვანთ ერთ მაგალითს: თბილისში ქალის ტანსაცმლის სახელოსნოში (ივან ველიამინოვის ქუჩა №8), რომელიც გრ. მოსესოვს ეკუთვნოდა, ქარგლები ძალზე მძიმე მდგომარეობაში იმყოფებოდნენ. 1914 წელს ქარგლებმა: ს. გასპაროვმა. მ. გარსევანიშვილმა, რ. გოზალიშვილმა, დ. კოღუაშვილმა, პ.ვართანოვმა, გ. შვანგირაძემ, პ. პეტროსიანცმა, ს. გაბილაიამ – საჩივარი დაწერეს, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ სახელოსნო პატარა და ნესტიანი იყო, რაც აუტანელს ხდიდა იქ მუშაობას. ქარგლები ასევე ჩიოდნენ, რომ მეპატრონე სისტემატურად უგვიანებდათ ხელფასს. ქალის ტანსაცმლის სახელოსნო, რომლის მფლობელი ოფიციალურად ოსტატი იყო, სახელოსნო ამქარს წარმოადგენდა.რეალურად ეს სახელოსნო ამქარი კი არა, კერძო კაპიტალისტური საწარმო გახლდათ, რომლის მფლობელი გრ. მოსესოვი იყო.

1900 წლის მონაცემებით, თბილისში 1873 წვრილი სახელოსნო იყო, თითოეულში საშუალოდ 2,5 კაცი მუშაობდა, ანუ სულ სახელოსნოებში დაახლოებით 5.000 ადამიანი იყო დასაქმებული. 1900 წლის ბოლოს თბილისში ძველ და ახლად გახსნილ საწარმოებში დაახლოებით 7.500 მუშა იყო დასაქმებული, რომელთაგან 627 ახლად გახსნილ საწარმოებში მუშაობდა. 1900 წლისათვის თბილისის კერძო უწყება-დაწესებულებებსა და საწარმოებში 15.750 კაცი იყო დასაქმებული, რომელთაგან 5.000 კაცი ოსტატი, ქარგალი და შეგირდი იყო. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მუშების საერთო რაოდენობის ერთ მესამედზე ნაკლები წვრილ ხელოსნურ წარმოებაში იყო დასაქმებული და ამდენად, მნიშვნელოვან როლს ასრულებდა სამრეწველოპროდუქციის შექმნაში.

(გაგრძელება იქნება)

ვახტანგ გურული

(საქართველოს ახალი ისტორია , 1801-1918.ტ.3 გვ.108-111)

„შენ ხარ მთის წყარო ტკბილმოკამკამე“...

ელიკო თავდუმაძე 80 წლისაა

„რა მშვენიერია ქალი, რომელიც გამოირჩევა ღვთისმოშიშებით, სათნოებით, პატიოსნებით, შრომისმოყვარეობით, სიფაქიზით, მზრუნველობით, კეთილგონიერებით. ალბათ, ერთ-ერთი ქალბატონი, ვისაც იგულისხმებდა ამ სიტყვების წერისას ჩვენი უწმინდესი, ელიკო მასწავლებელია, (ელიკო თავდუმაძე-ლომთათიძისა) ჩვენი იუბილარი, ოზურგეთის კოლორიტი, ქ. ოზურგეთის №1 საჯარო სკოლის ღვაწლმოსილი პედაგოგი, ქვეყნის მშვენება და სიამაყე: „გულ-უზადო, წრფელ-უანგარო“, „ნამუსის მზე, დადაფნული, ბედნიერი“.

აღსანიშნავია ცხოვრების ის გრძელი გზა, რომელიც მან გაიარა და დღემდე გადის. ჯერ უმთავრესი –არაჩვეულებრივი ოჯახის შექმნა ღირსეულ ვაჟკაცთან-პავლე ლომთა-თიძესთან ერთად. მათ სამშობლოს სამი ჩინებული გოგონა ,შვილიშვილები და შვილთაშვილები აჩუქეს. ოჯახის მსახურებასავით საპატიო გახდა ელიკო მასწავლებლისთვის მომავალი თაობების აღზრდა, იგი ათეული წლები მუხლჩაუხრელად ემსახურება თავის სკოლას, თავის პროფესიას. წიგნიერმა, ღრმად ერუდირებულმა მეცნიერმა, პედაგოგმა შექმნა მრავალი გამკვლევა, ნაშრომი. იგი დღესაც აქტიურად იღწვის და ქმნის. ბუნება მისი მეგობარია.

ელიკო მასწავლებელს:

„ბევრჯერ ტანჯვაც განუცდია,
ნიფათი და სივაგლახე,
მაგრამ სევდით შენაკრთომი
არ გვინახავს მისი სახე“

მან დიდსულოვნად გაუძლო თავისი მეუღლის გარდაცვალებას და დღემდე ღირსეულად უძღვება ოჯახს. აი ვინ არის კარგი ქალი...

ჩვენო ელიკო მასწავლებელო, თქვენ ჩვენი მასწავლებელიც ბრძანდებით მიუხედავად მცირე ასაკობრივი სხვაობისა. არასოდეს გამოგველევა ეპითეტები თქვენს დასამშვენებლად. უფრო მეტიც, გრიშაშვილის არ იყოს,,,ვარსკვლავთა ენას შევისწავლიდით თქვენს შესამკობად“. გილოცავთ დაბადების დღეს. ძალიან გვიყვარხართ და გვეიმედებით:

„წმინდა ხარ, წმინდა ივერის
ტურფა ასულო,
იყავ კურთხეულ უკუნითი
უკუნისამდე.“

პატივისცემით,

თქვენი მეგობრები.

ქალბატონო ელიკო,

უღრესი პატივისცემითა და გუფრფელი სიყვარულით გილოცავთ მნიშვნელოვან საიუბილეო თარიღს. გვინდა მადლობა გადაგიხადოთ იმ ფასდაუდებელი ღვაწლისათვის, უანგარო და სამაგალითო შრომისთვის, რაც თქვენ ათეული წლების მანძილზე ეწეოდით ჩვენი ქვეყნის მომავალი თაობის სწავლებისა და აღზრდის საქმეში.

დღეგრძელობას, მხნეობას და ულევ სიხარულს გისურვებთ თქვენს ლამაზ ოჯახთან ერთად. უფლის მადლი და წყალობა არ მოგკლებოდეთ.

როზა გოგუაძე,
საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის ოზურგეთის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე.
გაზეთი „ალიონი“

ოზურგეთის 2020 წლის საჭადრაკო ჩემპიონატზე

ოზურგეთის საჭადრაკო კლუბში გაიმართა მოსწავლეთა შორის ოზურგეთის 2020 წლის მუნიციპალური საჭადრაკო ჩემპიონატი. ბუნებრივია, ქვეყანაში არსებული პანდემიის პირობებში, მასშტაბური სპორტული ღონისძიების გამართვა გარკვეულ რისკებს შეიცავდა. . კორონავირუსის (**COVID-19**) გავრცელების პრევენციის-ათვის. ღონისძიების ხანგრძლივობის შემოკლების მიზნით, შევცვალეთ ფორმატიც. ჩემპიონატი ჩატარდა რაპიდში, რამაც შესაძლებელი გახადა იგი სამ დღეზე მეტს არ გაგრძელებულიყო, თანაც ისე, რომ ბავშვები სკოლაში სასწავლო პროცესს არ მოცდენოდა.

ჩემპიონატში ძირითადად მოწვეული იყო ის 40-მდე მოჭადრაკე, რომლებმაც უკვე მოახერხეს თავის წარმოჩენა. ჭადრაკის მოყვარულებს აქვე შევახს-ენებთ, რომ ოზურგეთელმა მოჭადრაკეებმა შარშან 23 საპრიზო ადგილი მოიპოვეს რეგიონალურ, რესპუბლიკურ და საერთაშორისო შეჯიბრებებში. სასიხარულოა, რომ წლევანდელ ჩემპიონატში ახალი სახეებიც ვიხილეთ, რომლებმაც კარგი თამაშით გააცნეს თავი სპეციალისტებს და ჭადრაკის მოყვარულებს. მონაწილეთა ძირითადი კონტიგენტი მწვრთნელების **ნინო წიტაიშვილისა** და **ელგუჯა ურუშაძის** აღსაზრდელებია, რომლებიც წლებია ოზურგეთში ნაყოფიერ სამწვრთნელო საქმიანობას ეწევიან.

რაც შეეხება საკუთრივ ჩემპიონატს, იგი, ყველა ასაკობრივ კატეგორიაში, საინტერესოდ წარიმართა განსაკუთრებულ ინტერესსს იწვევდა 8 წლამდე ასაკის მოსწავლეთა ასპარეზობა, რომელთა ნაწილი მუნიციპალურის დონის შეჯიბრებაში პირველად მონაწილეობდა და გასაგები მიზეზებით პატარებს გულშემატკივრებიც ბევრი ყავდათ.

შეჯიბრება 8-10 და 12-14 წლამდე გოგონებისა და ჭაბუკებისათვის ცალცალკე ჩატარდა. 14 წლამდე ჭაბუკებში, ყველასათვის კარგად ცნობილი 11 წლის **თენგიზ თოიძე** გახდა ჩემპიონი. წარმატება უდავოდ შთამბეჭდავია, მაგრამ თენგოსაგან წარმატებას უფრო რესპუბლიკურ და საერთაშორისო შეჯიბრებებიდან ველით. მეორე ადგილი და ვერცხლის მედალი კი, **ლუკა ერქომაიშვილმა** დაიმსახურა. ამავე ასაკის გოგონებში ჩემპიონობა **ნათია ვასაძემ** მოიპოვა, ხოლო გამოცდილმა **ანა მეგრელაძემ** ,რომელიც ჭადრაკს კარგა ხნით ჩამოშორებული იყო, შეძლო ვერცხლის მედლიანი მეორე ადგილის აღება. ანასეულელ **მარიამ გირკელიძეს,** რომელიც პირველად მონაწილეობდა მუნიციპალური დონის შეჯიბრებაში, მესამე საპრიზო ადგილი და ბრინჯაოს მედალი ერგო. 12 წლამდე ჭაბუკებში პირველი ადგილი დამსახურებულად მოიპოვა **ლუკა მაზარაძემ,** რომელსაც მცირეთი ჩამორჩა მეორე ადგილზე გასული **გიორგი ღლონტი.** ამავე ასაკში კარგად იასპარეზა **ნიკოლოზ კოსტავამ,** რომლის შედეგები ბრინჯაოს მედლით შეფასდა. 12 წლამდე გოგონებში ოქროსა და ვერცხლის მედლები, შესაბამისად დებმა **თამარ** და **თეკლა ასათიანებმა** გაინაწილა. გამოცდილმა თამარმა ამ ჩემპიონატში კი გაუსწრო მასზე უმცროს დას, მაგრამ ბათუმში ერთი თვის უკან ჩატარებულ რესპუბლიკურ ტურნირში, მეორე ადგილზე გასვლით თეკლამ ავჯობა.

10 წლამდე გოგონებში კი, ტოლი არ ჰყავდა **ლიზი ვასაძეს,** რომელიც ბოლო ხანია სტაბილური წარმატებებით გამოირჩევა თანატოლებისაგან. დიდ წარმატებად უნდა ჩაითვალოს ამავე ასაკობრივ კატეგორიაში მოასპარეზე **ნინი სირბილაშვილის** ვერცხლის და **ირინა ქარჩილაძის** ბრინჯაოს მედალი, მათ წელს პირველად მიიღეს მონაწილეობა მუნიციპალურ ჩემპიონატში და იმედია მომავლისთვის კიდევ უფრო აიმაღლებენ თეორიულ ცოდნას და სათამაშო კლასს.

10 წლამდე ჭაბუკებში **ნიკოლოზ ბარამიძის** გამარჯვება ეჭვს არ იწვევდა და ასეც მოხდა, მაგრამ მომდევნო ადგილების ბედი მხოლოდ ბოლო ტურში გაირკვა, რომლის შედეგებით ვიცე-ჩემპიონის ტიტული **დემეტრე გოგიტიძეს** ერგო. **გიორგი ხოხლენკომ** და **გოჩა გოგიბერიძემ** თანაბარი ქულები დააგროვეს, დამატებითი კრიტერიუმი, რომელიც გიორგის აძლევდა მცირე უპირატესებას, ორგანიზატორებმა შეგნებულად არ გამოიყენეს და მესამე პრიზიორად გამოცხადებულ ორთავე მოჭადრაკეს ბრინჯაოს მედლები და შესაბამისი დიპლომები გადაეცათ.

8 წლამდე ასაკის გოგონებში ყველაზე კარგი შედეგი **ანასტასია ხინთიბიძემ** აჩვენა ,რომელმაც თავისთავს დაბადების დღე ჩემპიონის ტიტულით და ოქროს მედლით მიულოცა. ამავე ასაკში ვერცხლის მედალი **ნია ჭანუყვაძემ** მოიპოვა, ხოლო მესამე ადგილი და ბრინჯაო **მარიამ ერქომაიშვილმა.**

საინტერესო და დაძაბული გამოდგა 8 წლამდე ასაკის ჭაბუკთა ასპარეზობა. აქ საუკეთესო შედეგი აჩვენა **სადრო გოგუაძემ,** რომელმაც 9 შესაძლებლობიდან 9 ქულა აიღო, თანაც საკმაოდ მომზადებულ მეტოქეებთან. ამ ასაკობრივ კატეგორიაში მეორე ადგილზე **ანდრია ხოხლენკო** გავიდა, ხოლო **ალექსი სირბილაშვილი** მესამეზე, რომლებსაც დიპლომებთან ერთად შესაბამისი სინჯის მედლებიც გადაეცა,

ჩემპიონატის დახურვა ღია ცის ქვეშ, გაიმართა, წარმატებული მოჭადრაკეები სპეციალური დიპლომებით და შესაბამისი მედლებით დაჯილდოვდა, რომელთა გადაცემაში მონაწილეობას ღებულობდა მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე **დავით დარჩია** და ადგილობრივი სპორტის მესვეურები,

ოზურგეთელი რაგბისტების წარმატებული სტარტი

„არწივებმა“ გასვლით მატჩში თბილისის „დევები“ 25:5 დაამარცხეს

ალიონი. – *საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის სასტარო შეხვედრა ძალიან კარგად ვითამაშეთ. შეხვედრას ჩვენი კლუბის საპატიო პრეზიდენტი* ***არჩილ თალაკვაძე*** *ესწრებოდა. მოტივაცია კიდევ უფრო გაგვიორმაგდა და შედეგიც სახეზეა, თბილისში, გასვლით მატჩში „პლატო არენაზე“ „დევებთან “ 5 ლელო დავდეთ და საბოლოოდ 27:5 დავამარცხეთ მეტოქე. ერთი ლელო ჩემს ანგარიშზეა -უთხრა გაზეთ „ალიონს“ ოზურგეთის „არწივების“ მე-15 ნომერმა* **ლევან ხუროშვილმა,** *რომელიც ადრე თბილისის „ყოჩების“ და შემდეგ პოლონეთის „არკა გდინიაში“ გამოდიოდა და ევროტურნირზეც აქვს ნათამაშევი.*

ბონდო ღლონტი, *ოზურგეთის რაგბის კავშირის პრეზიდენტი: –ძალიან სასიხარულოა, რომ ეროვნული ჩემპიონატის პირველი შეხვედრა მოვიგეთ. იცით, შარშან პირველ ლიგაში 17 ქულით მე-7 ადგილი დავიკავეთ. წელს მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა გუნდში. მთავარ მწვრთნელად ქუთაისის „აიას“ ყოფილი წამყვანი რაგბისტი, საქართველოს ნაკრების ყოფილი წევრი კახა მაჩიტიძე მოვიწვიეთ, რომელიც მანამდე საბერძნეთის ერთ-ერთ სარაგბო კლუბს წვრთნიდა. ფაქტიურად ახალი შემადგენლობა გვყავს. გუნდში ლე-გიონერები გვყავს. გამ-ოცდილი რაგბისტები მოვიწვიეთ ბათუმიდან, ქუთაისიდან, თბილისიდან, თუმცა გუნდის უმეტესობას ადგილობრივები შეადგენენ. ჩემპიონატის დაწყების წინ, 5-დღიანი შეკრება დაბა ურეკში გავიარეთ. მხარში გვიდგას ადგილობრივი მუნიციპალიტეტი, კლუბის საპატიო პრეზიდენტია არჩ-ილ თალაკვაძე, რომლის თანადგომა დიდ სტიმულს აძლევს გუნდს. დიდი კონკურენცია და ვეცდებით წარმატებას მივაღწიოთ – გვითხრა ბონდო ღლონტმა.*

„დევებთან“ შეხვედრაში 2 ლელო გოჩა ჯიქიამ, თითო ნუკრი თერსელიძემ, შოთა ცეცხლაძემ და ლევან ხუროშვილმა დადეს“.

მორიგი შეხვედრა ჭაიათურაში, ადგილობრივ „იმერეთთან“ გასულ შაბათს გაიმართა.

.

7 დღის ამინდის პროგნოზი

მზე, +16+26	მზე, ღრუბელი +17+28	მზე, ღრუბელი +13+27	მზე, ღრუბელი +13+24	მზე, ღრუბელი +14+26	მზე, ღრუბელი +14+25	მზე, ღრუბელი +14+24
12 ოქტომბერი ორშაბათი	13 ოქტომბერი სამშაბათი	14 ოქტომბერი ოთხშაბათი	15 ოქტომბერი ხუთშაბათი	16 ოქტომბერი პარასკევი	17 ოქტომბერი შაბათი	18 ოქტომბერი კვირა